ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 1715 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 შაბათი, 2 თებერვალი № 1715

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“ „Моамбе“ ტელეფონი № 372.

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 4 თებერვალს.

ამ №-თან ხელის-მომწერლებს ურიგდებათ სურათებიანი დამატების მე-26 №-რი.

ქართული თეატრი

შაბათს, 2 თებერვალს, 1902 წელს

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

დაკლებულის ფასებით

« ნ. ვ. გოგოლის სახსოვრად »

ვასო აბაშიძის და სხვათა მონაწილეობით

I

რევიზორი

კომედია 5 მოქ. გოგოლისა, თარგ. ალ. ჭიჭინაძისა.

II

აპოთეოზი ცოცხალი სურათებით.

მონაწილეობენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი; ბ.ბ. აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი, სარჯველაძე და სხვ.

კვირას, 3 თებერვალს 1902 წ.

ვ. მესხიშვილის და კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I

ავადმყოფი ხალხი

დრამა 3 მოქ. გაუპტმანისა, თარგ. ვ. გუნიასი.

II

პედაგოგები

კომედია 3 მოქმ. ოტტო ერნსტისა, თარგმანი ნ. ხუცრიშვილისა.

მონაწილეობენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, ლეჟავა, მდივანი; ბ.ბ. მესხიშვილი, ყიფიანი, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ავალიანი, ურუშაძე, მირიანოვი, იმედაშვილი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები დაკლებულია.

მზადდება ვლ. მესხიშვილის საბენეფისოდ „უპატიოსნონი“, „კრეჩინსკის ქორწილი“.

რეჟისორი **ვ. გუნია**

ექიმი

ვახტანგ ლამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. (0—1)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ი. გ. ფიოდოროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

ზ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. ვოინო—ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე.

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

დამ-დამობით ექიმების მორიგეობაა, ღამის 9 საათიდან დილის 7 საათამდე. მსურველთ შეუძლიანთ სახლშიაც წაიყვანენ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274. (წლ.)

საზღვარ-გარედ

ინგლისი. წარსულ ოთხშაბათს დეპუტატთა პალატამ მეორედ წაკითხვის შემდეგ ახალი კანონ-პროექტი დაამტკიცა. ამ კანონ-პროექტის ძალით ქვრივ კაცს ნება ეძლევა თავისი ცოლის და შეირთოს. პალატამ 249 ხმით 124 წინააღმდეგ დაამტკიცა ეს კანონ-პროექტი.

ამ კანონ-პროექტის მეორედ წაკითხვა კონსერვატორმა რუტერფორდმა მოითხოვა. რუტერფორდი ამტკიცებდა, მცოდნე სამღვდელო პირების უმეტესობაც კი ამ აზრისაა, რომ ესეთი ქორწინება სულაც არაა სჯულის კანონის წინააღმდეგიო. დეპუტატი ამტკიცებდა, რომ ახალი კანონი არც თუ ოჯახის ზნეობაზე იმოქმედებს ცუდადაო. რუტერფორდმა სთქვა: „ჩვენ კოლონიებში ცოლის დის შერთვა კანონადაა დადებულიო, და თუ ეს ქორწინება კოლონიებში წესიერად და რიგიან საქმედ ითვლება, მაშ მეტროპოლიაშიაც (ინგლისში) არ ჩაითვლება ურიგოდა და უზნეოდაო.

როცა ამ კანონ-პროექტს კენჭი უყარეს, ამნაირი ამბავი მოხდა:

კანონ-პროექტის მოთავე რუტერფორდი აპირებდა, როცა კენჭის ყრის შედეგს გამოაცხადებდნენ, ეთხოვნა პალატისათვის, რომ კანონ-პროექტი უფლებისა და კანონის გამრჩევ მუდმივ კომისიას გადაეცესო; მაშინ ეჭვი აღარ იქნებოდა, რომ კანონ-პროექტს ჯერ კიდევ ივნისამდე გადასცემდნენ ლორდთა პალატასაო. სხდომის დახურვამდე ცოტა დროღა იყო დარჩენილი; აკი კანონ-პროექტის მოწინააღმდეგეებმა ისარგებლეს ამით და ასე მოახერხეს, რომ რუტერფორდმა თავისი წინადადება ვეღარ შეიტანა კანონ-პროექტის მოწინააღმდეგენი კენჭის ყრის დროს დიდ-ხანს არ დაბრუნდნენ თავ-თავიანთ ადგილებზე; ამის გამო ხმის დათვლა დაგვიანდა, როცა კანონის მოწინააღმდეგეების ხმის დამთვლელი სხდომის დარბაზში დაბრუნდა, დაგვიანებული იყო. ეს ობსტრუქცია პირველი მინისტრის ლორდ სოლსბერის უმცროსმა ვაჟი-შვილმა, ლორდ სესილმა გამართა და როცა სესილი თავისი ამხანაგი ლორდ პერსი და სხვებით სხდომის დარბაზში შემოვიდა, პალატის უმეტესობას გული მოუვიდა და დაუყვირათ: „გრცხვენოდეთ! თავს ლაფი დაგესხათ“!

ამ კანონს, ლიბერალებისა და ირლანდიელების უმეტესობის გარდა, ბევრი უნიონისტიც მიემხრო, ამათში ორივე ჩემბერლენიც (მამა შვილი) ერია.

✿ ირლანდიაში ისტ-დაუნში დეპუტატად გუდი აურჩევიათ. ამ არჩევნის შესახებ „რუსსკაია ვედომოსტ“-ის კორესპონდენტი ასეთ საინტერესო ამბებს იწერება:

„ისტ-დაუნში მომხდარ არჩევანს დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ეს საარჩევნო ოლქი შიგ ოლსტერის შუა-გულში მდებარეობს. გარშემო სულ ჯიუტი პატრიოტების ლორდ ლონდონდერის და არტურ ჰილის მამულებია. ასე, სულ ათიოდე წლის წინად ისტ-დაუნი ლორდ-ჰილის საკუთარ „ჯიბის ოლქად“ ითვლებოდა. ლორდი ტრაბახობდა: რომ მოვინდომო, ჩემ ფერმერებს უბრძანებ და ჩემს ძაღლს ავარჩევინებ დეპუტატადაო. მაგრამ მას აქეთ ბევრი რამ გამოიცვალა. ლორდებისა და პატრიოტების ერთგული ფერმერებიც კი თხოულობენ, რომ მთავრობამ ძალით შეისყიდოს მამულები. ბოლონდელ არჩევანში აქაურმა ფერმერებმა მთავრობის მომხრე ადვოკატი რენტული აირჩიეს, რადგანაც რენტული დაჰპირდათ, პარლამენტში მამულების ძალ-დატანებით შესყიდვის მომხრე ვიქნებიო. ამ დეპუტატმა არა თუ პირობა არ შეასრულა, პირიქით, ამ შესყიდვის წინააღმდეგი გახდა. ასე, ორის თვის წინად რენტულმა მთავრობისაგან თანამდებობაც მიიღო. ჩვეულების ძალით დეპუტატი მოვალეა ამისთანა შემთხვევაში ხელმეორეთ დაეკითხოს თავის ამომრჩევლებს, წინანდებურად მენდობით, თუ არაო; ფერმერები ისე გულმოსულები იყვნენ, რომ რენტული სულაც გადააყენეს დეპუტატობიდან. ადგილი დაიცალა. ფერმერებმა ჰკითხეს ცნობილ დეპუტატს როსელს, ვინ ავირჩიოთო; როსელმა ურჩია, ადვოკატი გუდი აარჩიეთო. ირლანდიელი ლიგაც ამავე გუდს ემხრობოდა (ოსტერში, სადაც ეს არჩევანი მოხდა, ინგლისელები და შოტლანდიელები ცხოვრობენ, სუყველანი უნიონისტები, ყველანი ირლანდიის განცალკევების მოწინააღმდეგენი არიან, მაგრამ ეს ორიოდე წელიწადია, რაც ოსტერებელიც დანარჩენ ირლანდიელებსავით მამულების ძალით შესყიდვას თხოულობენ და თავიანთ მეთაურის გამოჩენილი დეპუტატი როსელის რჩევით ირლანდიელების საადგილ-მამულო ლიგას მიემხრნენ. ამ შეერთებული ლიგის მეთაურად ირლანდიელების წინამძღოლი ჯონ რედმონდი აარჩიეს.

ფერმერებმა პირობის წერილიც ჩამოართვეს თავიანთ კანდიდატს. ეს პირობა ამნაირად იყო დაწერილი:

„ვფიცავ და მოწიწებით აღვთქვამ, რომ პარლამენტში ყოველთვის მამულების ძალდატანებით შესყიდვის მომხრე ვიქმნები. აღვთქვამ, ყოველნაირად დავეხმარო ამ საქმის თაობაზე შედგენილ კანონ-პროექტს, აღვთქვამ იმ პროგრამას მივსდიო, ოლსტერელი ფერმერების საზოგადოებამ და სოფლის მუშებმა რომ შეადგინეს. ვფიცავ აგრეთვე, არაფერი თანამდებობა არ მივიღო სამინისტროსაგან, თუ ეს სამინისტრო მამულების

ფელეტონი

კახეთ-ქიზიყის დამღუპველი ზნე-ჩვეულება

წრეს-გადასული ლოთობისაგან, ქეიფისაგან დაღუპულან და იღუპებიან დღესაც ქვეყნიერობაზე მილიონობით ადამიანები ჯანღონით, გონებითა და ქონებით, მაგრამ არც პანტის ზარბაზნიანი ქიზიყელები და კახელები ჩამოურჩებიან იმათ თავისა და ოჯახის დამღუპავ ლოთობა-ქეიფში. მართალია, საქართველოს სხვა კუთხეების ქუდოსანთა უმრავლესობა ამავე სენით არის შეპყრობილი, მაგრამ, ღმერთმა დაიფაროს, ისე კი არა, როგორც ზოგიერთი კახელ-ქიზიყელი, რომელიც სმაში თუ შეეჯიბრა ადამიანს, ერთ ვედრო ღვინოს ჩაისხამს მოუკუპრავში სუფრის ალაგებამდის.

დაიწყებენ ქვევრებში მაჭრები ბუყბუყს— და მშვიდობით ცოლო დაშვილო, გადირევა ხოლმე დადინჯებული კახეთი და მეტადრე ქიზიყის ასი ათას (100,000) მცხოვრებელთა უზარმაზარი სოფლები, რომელნიც დღეს თავიანთ ქვითკირ-კრამიტიანის შენობებით პაწია დაბა-ქალაქებს უფრო წაჰგვანან, ვიდრე ნახევარ საუკუნის წინად-ყოფილს გომურებიან და ქოხმახებიან სოფლებს დაუცხრომელ დაღისტანთან დაუცხრომლად მეომარ ქიზიყელებისას.

სადაც კი რომელსამე სალხინო წვეულებაში რამდენიმე კაცი თავს მოიყრის ერთად, მაშინვე დაიბადება მათ შორის ღვინით სავსე ჯამ-ჯიხვებით ერთმანეთის დაძალება, შეჯიბრება და მუქარა: „აჰა, დაიჰი და ჩემსავით უსუნთქველივ ჩამაიწურე ე ჯიხვი ძი რამდინ, თორემ თავ-პირზე ჩამოგასხამო, ხანჯლის წვერზე აგაგებ დასტამბოსავითო, ჭიჭყინა თევზივით გამოგწეწლავო“ და სხვანი.

კახელ-ქიზიყელთა დღეობებში, ქორწილებში, რიგებში, სხვა-და-სხვა წვეულებებში, სამიკიტნოებთან, თუ შუაგულ სოფლის შარა-გზაზე ხშირად მოიხილებს ფხიზელი ადამიანი ისეთ შემაძრწუნებელ სურათებს უგუნურობისას, რომელნიც ცხრამეტმა საუკუნემაც ვერ ამოფხვრა ცხოვრების სიღრმე-სიგანიდან ძირიან-ფესვიანად და ვინ იცის, იქნება ამ მეოცე საუკუნემ მაინც მოუღოს ბოლო ჩვენი დიდებული შოთას სიბრძნისამებრ: „ერთი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელიაო“. გავითვალისწინოთ მოკლედ შემზარავი სურათები უდიერი სმისა და დამღუპავი ზნე-ჩვეულებისა.

ზოგნი, ღვინისაგან გალექებულნი, თავიანთ დორრიალა სიმღერით, უწმაწური სიტყვა-პასუხით, უშვერი ლანძღვა გინებით, ცემა-ტყეპით, თავზე ხელ-აღებული ხანჯლების ტრიალით და საშინელი ჭყივილ ღრიალით ღამეც კი ძილ-მოსვენებას არავის აძლევენ. ზოგნი თავ-პირ ჩამოლეწილნი და საყელო ჩამოგლეჯილნი, ჭინჭველა-ნაჭამ დათვივით გულ-გამეხებული ბუტბუტით მიგუგუნებენ საჩივლელად. ზოგნი ჭყანტობში ნაწოლ ღორებივით ამოთართლულან ორღობის ნაგუბარში და რის ვაივაგლახით მირაცრაცებენ შინაკენ თვალებ-აჭრელებულნი, რეტიან ცხვარივით გარდიგარდმო. ზოგს, სოკოს სისწრაფით გამრავლებულ სამიკიტნოებიდან, მხრებში შაჰჯდომიან აქა-იქიდან და ძალის-ძალად მიათრევენ სახლისაკენ ნაჯაფავარი სიბერისაგან კუდით სათრევ დიდყურასავით, რომელსაც ვაგლახად ჩამოსდის დორბლები ქვემოთა ლაშ-ჩამოგდებულს და საცოდავად ახვნეშებულს.

ზოგნი, ღვინის ამცდენი ეშმაკობით „ზომიერად გაჟღენთილნი“, წყალწყალა ჩიტივით მილივლივებენ თავიანთ გზაზე სამხიარულო ღიღინით, და სადაც კი ლამაზ-ლამაზი ქალ მანდილოსანი შამოეყრებათ გზაში, მაშინვე ამას ახლიან პირში, ვნების ჟინით უსირცხვილოდ კბილებ-აკაწკაწებულნი და თავ-არაცრაცებულნი; „უი შენ კი ჩაგეხვიე უსურვაზის წნელივითაო!..“. ზოგს, ღვინისაგან გაცოფებულს, თავისი ცოლი გაუგდია წიხლ-ქვეშ და თმებით დაათრევს ხაფანგის ლეშივით. ზოგნი, უდიერ სმაში რძე-ნაწყენ გოჭივით გაჩიჩრაღულნი, ჯიუტი ქმრისაგან ცოფ-მორეული დედაკაცივით ჩალოგინებულან, ხაშარ ცხვარივით აქოშინებელ და მწარედ კვნესიან, გმინავენ და ჩივიან: „ვაი შენ ჩემო თავო, ეს რამოდენა ხანია მოვცდი, დავიშრიტე და ათასი საქმე მეღუპება უპატრონობითო“. ბევრნი ამასობაში იხოცებიან კიდეც საციმბირო მკითხავ-ქადაგებისაგან წამალ-აკრძალულნი, და როდესაც მიცვალებულს დასამარხად მიასვენებენ, ასე ბრალობენ მნახველნი: „ღმერთმა აცხონოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალ-დატანებით შესყიდვის წინააღმდეგი იქმნება. თუ რომელიმე პირობა დავარღვიე, ვფიცავ, რომ მაშინვე დეპუტატობიდან გადავდგე“.

ლენდ-ლორდების (მებატონეების) წინამძღვრებმა, ლონდარდერიმ და პილიმ თავიანთ კანდიდატად მოურავი გერონი გამოიყვანეს, მაგრამ ლორდ ლონდარდერი მალე დარწმუნდა, რომ თითონ იმის საკუთარ მამულ ნიუტაუნარდსშიაც კი, თვით ამ პატრიოტების დედა-ბოძშიაც კი, ფერმერები მამულების ძალ-დატანებით შესყიდვას თხოულობდა. ლორდების კანდიდატი მოურავი კი მარტო იმით იყო გათქმული, რომ ფერმერებს თავიანთ ფერმებიდან უმოწყალოდ ერეკებოდა და სდევნიდა. აბა ამისთანა კაცს როგორღა აირჩევდნენ შეგნებული ფერმერები. ორი კვირის განმავლობაში ლენდ-ლორდებმა ოთხი კანდიდატი წამოაყენეს, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოაწონეს ფერმერებს.

ბოლოს კაპიტანი უოლესის არჩევა ურჩიეს ხალხს. უოლესი პატრიოტობითაა გათქმული და ეხლა სამხრეთ-აფრიკაში იბრძვის. ოლსტერის პატრიოტული გაზეთები არწმუნებდნენ ხალხს, ვინც ამ კანდიდატის წინააღმდეგი იქმნება, სჩანს, ბურების მომხრე უთვილათ. ოლსტერელები დიდი პატრიოტები არიან, გაზეთებმაც ამიტომ მომართეს პატრიოტული ჩანგი, მაგრამ ძველმა ხერხმა ვეღარ გასჭრა. ჩვენს დროში ფერმერებმაც კარგად შეიგნეს, თუ რა ფასი აქვს ყველა ამ პატრიოტულ წერილებსა და ჭანგებს. ხალხმა ხელად კრება მოახდინა და მოურიდებლივ გამოაცხადა: აქ ბურებზე და პატრიოტებზე კი არა, აქ იმაზეა ლაპარაკი, მთავრობა მამულებს ძალ-დატანებით შეისყიდის, თუ არაო.

პატრიოტი ლენდლორდები დარწმუნდნენ, რომ მარტო პატრიოტული ლაპარაკი აღარა სჭრის, ფერმერებს ისეთი რამ რეფორმა უნდათ, რომ ამ რეფორმის სარგებლობა თვალით სჩანდესო. და აი პატრიოტულმა გაზეთმა „ნარტირ ვიგ“-მა გამოაცხადა, რომ კაპიტანმა უოლესმა ახალი პროგრამა შეადგინაო. კაპიტანიც მამულების ძალ-დატანებით შესყიდვას მიემხრობა, მაგრამ... მაგარი კიდე ისაა, რასაც კაპიტანი ამბობს. კაპიტანი კიდე აი რას ამბობს:

„ჩემის აზრით, მთავრობას რომ ეხლა მამულების შესახებ კანონ-პროექტი შეაქვს, ძლიერ კარგი კანონ-პროექტია, მაგრამ თუ ეს კანონ-პროექტი უვარგისი გამოდგა, პირობას გაძლევთ, მამულების ძალ-დატანებით შესყიდვას მხარი დაუჭირო, ვეცდები, რომ სოფლის მუშებსაც სახლკარისა და საბოსტნე ადგილები მიეცეთ“.

ასრულებს, თუ არა თავის დაპირებას მთავრობის კანდიდატი, ეს კიდე სულ სხვა საქმეა, მაგრამ ცხადად გხედავთ, რომ ფერმერები თვით ოლსტერის შუა გულშიაც კი მამულების ძალ-დატანებით შესყიდვას თხოულობენ. თითონ ლენდლორდებიც კი ჰპრდებიან ამ რეფორმას. ასე რომ ირლანდიის შეერთებული ლიგის მეთაურს ჯონ რედმონდს ამას წინად მართალი უთქვამს პარლამენტში:

სამინისტრო ტყუილად ირწმუნება, რომ არას დროს არ დავსთანხმდები მამულების ძალით შესყიდვასაო. მთავრობას ბევრჯელ უთქვამს ასრე, მაგრამ ბოლოს თითონვე უარ-უყვია თავისი სიტყვები და ხალხის სურვილი შეუსრულებია. ბევრჯელ აუღია მთავრობას თავისი ნაფურთხი და დარწმუნებული ვარ, ეხლაც ასე მოხდება. მთელი ირლანდია ერთ-პირად თხოულობს, რომ ლორდებს მამულები სყიდვით ჩამოერთვას და მშრომელ ხალხს გადაეცეს. მთელ ერთან ვერას გახდება მთავრობა. რაც უნდა სასტიკად და უდიერად მოექცეს ირლანდიელებს, მაინც ვერ შეაშინებს, ათასიც ეცადოს, მთავრობა მაინც ბოლოს იძულებული იქმნება, მთელი ირლანდიის ერის სურვილი აასრულოს.

„ისტ-დაუნის დეპუტატის არჩევანს დიდი მნიშვნელობა აქვს. რუსეთისა არ იყოს, ამ არჩევანს შემდეგ ირლანდიაში ახალი ხანა იწყება“.

გაზეთები იუწყებიან, რომ ამ არჩევანში ფერმერების საკუთარ კანდიდატს ადვოკატს ვუდს გაუმარჯვნია; ვუდს 3576 კენჭი მიუღია, მთავრობის კანდიდატს უნიონისტს უოლესს კი—3429.

გერმანია. გერმანიაშიაც საყურადღებო არჩევანი მომხდარა, აქაც ხალხის ინტერესების მოსარჩლე კაცს გაუმარჯვნია. აქაურ არჩევანსაც გული დაუწყვეტია რეაქციონერებისათვის და სამაგიეროდ ოპოზიციის გული კაუხარებია. „ტაიმს“-ის ბერლინელი კორესპონდენტი სწერს:

„მეტად საყურადღებოა, რომ საქსონიაში დობელინ როსვეინის ოლქში დეპუტატად სოციალ დემოკრატი აარჩიეს. ამ ოლქს 1890—1898 წლებში თავის წარმომადგენლად რეიხსტაგში კონსერვატორი ჰყვანდა, 1898 წელს აქეთ დღევანდლამდე ნაციონალ ლიბერალი. ეხლა კი მებატონეების კანდიდატმა, 5,340 კენჭი ძლივს მიიღო. სოციალ-დემოკრატების კანდიდატს კი—11,787 კენჭი მიუღია. აქედან სჩანს, რომ ხალხს მებატონეების პოლიტიკა და ბაჟების მომატება ჭკუაში არ მოსდის. თითონ მებატონეების გაზეთი „დაუჩე ტაგ.“-ი ჰფიქრობს იქნება მომავალ საზოგადო არჩევანში საქსონიის 23 საარჩევნო ოლქიდან 16 ან შეიძლება 18-იც სოციალ-დემოკრატების ხელში გადავიდესო“.

სამხრეთ-აფრიკა. გაზეთი „პტი ბლო“ სწერს: იქნება ბურების წარმომადგენლებმა მოილაპარაკონ იმის შესახებ, ჰქონს რომ ინგლისის მთავრობას სამხრეთ-აფრიკაში წასვლის ნება-რთვა სთხოვონ, თუ არაო. წარმომადგენლები მაინც კიდე ირწმუნებიან, რომ ევროპაში მყოფ ბურებსა და სამხრეთ-აფრიკაში მებრძოლ ბურებს ერთი პირი და სრული თანხმობა აქვთო.

✡ გაზეთ „ინდ. ბელჟს“-ს სწერენ ჰააგიდან: ბურების ერთმა წარმომდგენელმა ჰოლანდიის ნოტის და ინგლისის პასუხის თაობაზე თქვა: ჰოლანდიის მთავრობა ეცადა, რომ სამხრეთ-აფრიკაში სისხლის ღვრა შეეწყვიტა: ამიტომ ბურების დეპუტაცია ძლიერ მადლობელი დაურჩა ჰოლანდიისაო. წარმომადგენელს ისიც ეთქვა, რომ ინგლისის მთავრობის პასუხი კეთილ კილოზეა დაწერილი და ამიტომ შეიძლება, რომ ზავზე მოლაპარაკება არ შესწყდესო. თუ ინგლისი შემდეგში ახირებულს რასმე არ მოითხოვს, ბურების დეპუტაციაც ეცდება, რომ ომს ბოლო მოეღოსო.

✡ ინგლისურ გაზეთებს პრეტორიიდან დეპეშა მოჰსვლიათ, რომ დევეტს ორანჟის რესპუბლიკაში 4500 მეომარი ჰყავსო. ამ ცნობამ ძლიერ გააკვირვა გაზეთები: იმ დღეს სამხედრო მინისტრმა ბროდრიკმა გამოაცხადა პალატაში, რომ ბურების ყველა სარდლებს სულ 6000 კაცი ეყოლებათო. თუ მარტო დევეტს 4500 კაცი ჰყოლია, მაშ დავიჯეროთ, რომ ბოტასა და დელარეის 1500-ზე მეტი კაცი არა ჰყავთო! სამხედრო მინისტრი, სჩანს, ძლიერ აშურებულა და პალატისთვის სწორე ცნობა ვერ მიუცია.

ახალი ამბავი

✦ გუშინ, პირველ თებერვალს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში მიასვენეს განსვენებული **დიმიტრი ყიფიანის** გარდაცვალებული მეუღლე—ნინო. წირვა და პანაშვიდი გარდაიხადა ყოვლად სამღვდელო კირიონმა, ქალაქის სამღვდელოებათა თანამწირველობით. ეკლესია და ეკლესიის გალავანი სავსე იყო ხალხით. პანაშვიდს შემდეგ მიცვალებული წაასვენეს დასაკრძალავად მამა დავითის ეკლესიის გალავანში თავის ქმრის, დიმიტრის გვერდით. კუბო შემკული იყო რამდენიმე გვირგვინით ნათესავთა, ნაცნობთა და კეთილის მყოფელთაგან.

✦ გუშინ საღამოს ტფილისის სადგურზე ვილაც ავაზაკებმა **გაცარცვეს** არტელშჩიკი. ერთი ავაზაკი მოჰკლა მცველმა; მეორე ავაზაკმა ესროლა მცველს, მაგრამ დააცილა, ტყვია მოხვდა იქვე, სადგურზე, მყოფ მუშას და მოჰკლა იგი. ავაზაკებმა, როგორც ამბობენ, 10 ათასი მან. წაიღეს.

✦ როგორც დეპეშით იუწყებიან, 31 იანვარს აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიის ბევრ ალაგას ყოფილა **მიწის ძვრა**; ჯერ-ჯერობით ამგვარი ცნობებია მოსული განჯიდან, შუშიდან, ბაქოდან, რკინის გზის ბაქოს ნაწილის სხვა-და-სხვა სადგურებიდან. ყველაზე უფრო მძლავრი მიწიძვრა ყოფილა შემახაში. იქ, როგორც „კავკაზ“-ს ატყობინებენ, დანგრეულა მრავალი სახლი და ბევრი ადამიანიც უმსხვერპლია.*)

✦ ტფილისის საფიზიკო ობსერვატორიის ცნობებით, 31 იანვარს **მიწის ძვრა დაიწყო** 12 საათზე, 40 წუთზე და 15 წამზე. მიწა იძრა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და განსაკუთრებით საგრძნობელი იყო მაღლა სართულებში.

✦ „მოსკ. ვედომოსტ.“-ში ვკითხულობთ: მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაზე, 26 იანვარს, გუბერნიის მარშალმა თავ. ტრუბეცკოიმ წაიკითხა შემდეგი **დეპეშა**, რომელიც მას მოსვლია ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა **წინამძღოლის** თავ. დ. ზ. მელიქიშვილისაგან: „ტფილისის თავად აზნაურთა დეპუტაციამ, რომელიც აღსავსეა მოგონებით მოსკოვის თავად-აზნაურთა ნამდვილ რუსულ სასიამოვნო დახვედრის შესახებ, მომანდო მე გადმოგცეთ დეპუტაციის ღრმა მადლობა მოსკოვის თავად-აზნაურობისადმი. დაე საუკუნო და დაურღვეველ კავშირმა კიდევ უფრო შეგვაერთოს ჩვენ ძმურს მოღვაწეობაში საყვარელ სამშობლოს სასახელოდ“. დეპეშას კრება ტაშისცემით მიეგება.

✦ დღეს, 2 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, სააბრეშუმო სადგურის შენობაში მოხდება **კავკასიის ბაღოსნობის საზოგადოების** წევრთა კრება, რომელშიაც უნდა განიხილოს წინადადება სეტყვისაგან ბაღების საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების დაარსების შესახებ.

✦ ტფილისის საქალაქო სასწავლებელთა გამგე კომისიის სხდომაზე, 31 იანვარს, მ. ი. ვესელოვზოროვის წინადადებით განხილულ იქმნა საკითხი იმის შესახებ, თუ რითი აღინიშნოს ქალაქის თვითმართველობისაგან რუსეთის გამოჩენილი მწერლის ნ. ვ. **გოგოლის** გარდაცვალებიდან 50 წლის შესრულების დღე. კომისიამ გარდასწყვიტა: 1) გარდახდილ იქმნეს ქალაქის სახელით პანაშვიდი მწერლის სულის მოსახსენებლად; პანაშვიდს უნდა დაესწრნენ: ქალაქის სასწავლებლების მასწავლებელ-მოსწავლენი და უფროსნი, ქალაქის საბჭოს ხმოსნები და თვითმართველობისა და სხვა საქალაქო დაწესებულებათა მოხელენი; 2) დადგმულ იქმნეს განსვენებულის მწერლის ბიუსტი ალექსანდრეს ბაღის ზემო ნაწილში, ბარიატინსკის ქუჩის პირდაპირ; 3) საქალაქო ორს პირველ-დაწყებით სასწავლებელს ეწოდოს გოგოლის სახელი; 4) გაიმართოს სალიტერატურო დილა ან საღამო თითოეულს საქალაქო სასწავლებელში ცალკ-ცალკე 21 თებერვალს ან შემდეგ ორის დღის განმავლობაში და 5) დაურიგდეს საქალაქო სასწავლებლებისა, ტფილისის სახელოსნო სასწავლებლისა და ტფილისის საპროფესიონალო დედათა სასწავლებლების უმაღლეს კლასების მოსწავლეებს გოგოლის ნაწერების იაფი გამოცემები, ხოლო ამავე სასწავლებლების უმცროს კლასების მოსწავლეებს—სურათები; იაფ გამოცემებისა და სურათების შესაძენად უნდა გადადებულ იქნეს 200 მანეთამდე.

✦ პირველ თებერვალს ქალაქის გამგეობაში **მოხდა ტირაჟი** მესამე ქალაქის სესხის ობლიგაციებისა. ტირაჟში გამოვიდა რვა ბილეთი ათას მანეთებიანი, სულ 8,400 მ.

✦ ქალაქის ხელოსანთა გამგეობაში ამქრის უსტაბაშების და დეპუტატების **არჩევანები გათავდა**. ამ დღეებში მოხდება ხელოსანთა თავის არჩევა სერობიანცის მაგივრად, რომელსაც, აგერ ორი წელიწადია, ვადა გაუვიდა.

✦ 1-ლ თებერვლისათვის, „კავკაზ“-ის ცნობებით, ტფილისის **საგუბერნიო საპატიმროში** ყოფილა სულ 381 ტუსაღი (350 მამაკაცი, 31 დედაკაცი); ამათგან 55 მამაკაცი და 9 დედაკაცი საპატიმროს საავადმყოფოში ყოფილან. **მეტეხის საპატიმროში** კი იმავე დღისთვის ყოფილა 423 ტუსაღი (415 მამაკაცი და 8 დედაკაცი); ამათგან საავადმყოფოში ყოფილა—91 მამაკაცი და 6 დედაკაცი.

✦ სასამართლოს მეორე განყოფილების გამომძიებელი ამ ჟამად იძიებს ცნობილი ავაზაკის ლორთქიფანიძის საქმეს, რომელსაც ბრალდება, რომ წატუროვის **მაღაზია გასტეხა** და ძვირფასი ნივთები და ფული წაიღო. როგორც ვიცით, ლორთქიფანიძეს 7 თებერვალს გაასამართლებს ქუთაისში სამხედრო ოლქის სესია. ლორთქიფანიძეს ბევრი სხვა ავაზაკობაც ბრალდება.

✦ კავკასიის მთავარ-მართებელს, თავ. გ. ს. გოლიცინს, აღუძრავს შუამდგომლობა, რომ დაბა **კისლოვოდსკი** ქალაქად იქმნას აღიარებული.

✦ პეტერბურგიდან გვატყობინებენ, რომ ბაქოში **საპორტო მმართველობა** დაწესდება ამ წლის 1 ლ ივლისიდან.

---

*) იხ. დეპეშები.

საწყალი, თავისმა ლორმუცლობამ მაიღო და გამოასალმა უდრო-უჟამოთ მზიან ქვეყანასაო“.

ზოგიერთი ძალზე დამთვრალი მაყარი მეფისა თუ დედოფლისა გაჭენებულ ცხენიდან ფუტუროა ვერხვივით ჩამოჩეხილა, დამსხვრეულა, დალეწილა, დაფეფქვილა, საფეთქელიც ქვიან დედამიწისათვის დაუნარცხებია და იქვე სული განუტევებია საცოდავს. ზოგიერთს, ღვინისაგან გამხეცებულს, ჩხუბში მოწინააღმდეგისათვის ხანჯალი დაუცია ტარამდის და მთელ სოფელსა სძრავს მნახველთა საზარელი წივილ-კივილი და სხვანი და სხვანი. ერთის სიტყვით, ასი ათასი თაბახიც არ ეყოფოდა იმ შემაზრზენი სურათებისა და ათას გვარ უბედურება-ზიანის ყოველმხრივ დაწვრილებით აწერას, რაც კი წლის-წლობამდის უზომო ლოთობისაგან ჰხდება, რისგანაც რამდენიმე მილიონი მანეთის ზარალი ეძლევა ყოველ წელს კახეთ-ქიზიყს, უამისოდაც სავალალო და სავაგლახო ეკონომიურ-სოციალურს ყოფა მდგომარეობაში ჩავარდნილს აწინდელ წეს-წყობილების ათასგვარ უკულმართობისაგან.

ეხლა, უეჭველია, იკითხავთ: სად არიან და რას აკეთებენ ერის საკეთილდღეო გზის მაჩვენებელნი და თვით-ცნობიერების გამღვიძებელნი: მღვდლები, მასწავლებლები, შეგნებული მოხელეები და ცოტად თუ ბევრად ნასწავლი მემამულენი, რომელთაც ყველას ერთად ინტელიგენცია ჰქვია. რას აკეთებენ ეს მწიგნობარნი „მარილნი ქვეყნისანი“ და ერთმანეთის სადღეგრძელოსა ჰსვამენ: „Желаю вамъ дремать въ невѣденьѣ счастливомъ“-ო. ეჰ, ნურასა მკითხავთ დაწვრილებით უინტელექტო ინტელიგენციის შესახებ, თორემ ჩვენი არარაობით გულ-გატეხილებს უარესად გაგიტყდებათ გული ქართველთა ერის სამთელ ქვეყნო დიდების მწვერვალამდე ასვლის უიმედობით...

განა ინტელიგენტად ჩაითვლება ის ადამიანი, რომელიც უჭმელ-უსმელად ერთ დღესაც ვერ გამოდგება, და მისი საღათას ძილით მიძინებული ჭკუა-გონება კი არავითარ საზრდოს სულისას არა თხოულობს?! ინტელიგენტის არსებობისათვის ისევე აუცილებლად საჭიროა მარადჟამს გონების საზრდო: ჟურნალ-გაზეთ-წიგნები, როგორც პური და წყალი, სინათლე და ჰაერი. მოუსპეთ ინტელიგენტს თუნდ ერთ დღეს სულის საზრდო: ცა-ქვეყნის ამბავთა მოამბე ჟურნალგაზეთ-წიგნები და ჭკუის უსმელ-უჭმელობაზე მეტად დაეტანჯება მას გონების საზრდოს მოკლებული სული და გული.

დიახ, არა გვყავს, ჩვენდა სამწუხაროდ, კახელ-ქიზიყელებს ნამდვილი ინტელიგენცია (გარდა თითო-ოროლა ადამიანისა), ამ ჭეშმარიტებას ყველა იტყვის თამამად, ვისაც კი მტკიცედ სწამს მადლიანი მცნება პირუთვნელ გულ-ახდილობისა: „მოყვარეს პირში უძრახეო“.

კახეთ-ქიზიყის გლეხ-კაცობა იშვიათად ხვდება ხოლმე ღვინის თვალ-გულ-გაუმაძღარი სიხარბით ყელში მოსადენად, და მისი „ინტელიგენცია“ კი წლით-წლობამდის ღვინის ტბაში დაცურაობს და იხრჩობა, გარდა თითო-ოროლასი. ნაცვლად იმისა, რომ კახეთ-ქიზიყის „ინტელიგენციის“ უმრავლესობამ საკეთილო მაგალითებისა და ზომიერების ჩვენებით თავისა და ოჯახის დამღუპავ, წეს-გადასულ ლოთობას ცოტათი მაინც გადაახვიოს უთვალავი ხალხი, ხსენებულ „ინტელიგენციის“ წახედულობით უარესად ეჩვევა ხალხი უდიერ სმას მაზრის ქალაქებში და დაბა-სოფლებში, სადაც სწრაფად გამრავლდა სამიკიტნოები, საითაც კი მიიხედ-მოიხედავთ, და ხალხს შთანთქმას უპირებენ, თუ მთავრობის მონოპოლიამ არ შთანთქა იგინი დროზედ.

— მოკრებული სმა თუ ცუდია და საზიანო, მაშ ი მწვალელები რატომ ქუფაობენ ღვინოში ყოინა ბაყაყებივით წლის-წლობამდიო,—თამამად გიპასუხებენ ზორბა მხარ-ბეჭიანი ტეტია, თუ ქეიფზე დაარიგეთ: მოკრებული სმა ბევრნაირად მავნებელია.

— არა, ძამია, ისინი სწავლულები კი არა ტვინ-გალაყებულნი არიან, ვინც მაგრე იქცევა,—არწმუნებს ხელმერიდე, მაგრამ ამაოდ, მოპასუხე მოსულეტილი გიჟრით სიტყვას:

— ლაპარაკი ტყუილია, წამწყმინდა წაბდულობამ, როგორიც ღვდელი, იგეთი ერი, როგორიც დარიაი, იგეთი ბარიაო.

მაინც ზნე-ჩვეულება, სავინებს, თუ წახედულობას რომ დიდი გავლენა აქვს ამას ქიზიყის ხალხის ბრძნული ანდაზა ჩასაგულისხმებელი სიმართლით გვიხსნის: ადამიანი უენო საქონელზედაც ადვილად ირყვნებაო.

◆ კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის აწ გაუქმებულს კომიტეტს, სხვათა შორის, ბაქოს საქალაქო თვით-მართველობისა და ნავთის მრეწველთა საბჭოსათვისაც მიუმართავს თხოვნით შემწეობის აღმოჩენის შესახებ **გამოფენის დეფიციტის დასაფარავად.** ამ დაწესებულებათ ახლა უარი შემოუთვლიათ კომიტეტისათვის, რადგან გამოფენაზე გადადებული კრედიტი სულ დაიხარჯაო.

◆ სოლოლაკის საქალაქო სკოლაში ქართული ენის მასწავლებლად ამას წინად ტფილისის გუბერნიისს სახალხო სკოლების ინსპექტორმა დანიშნა დიდუბის სკოლის მასწავლებელი ქიქინაძე, რომელსაც გაკვეთილების შემდეგ დიდუბიდან უნდა ევლო სოლოლაკის სკოლაში. ტფილისის საქალაქო სასწავლებელთა გამგე კომისიამ წარსულ სხდომაზე მიიღო სახეში ის გარემოება, რომ ქალაქის სკოლებში **მასწავლებლების დანიშვნა** კომისიის უფლებას შეადგენს და რომ დიდუბიდან სოლოლაკში სიარული მასწავლებელს არ შეუძლია და თავის მხრით სოლოლაკის სკოლაში დანიშნა ნესტორ გიკალიშვილი.

◆ ავლაბრის საქალაქო სკოლაში **ქართულის ენის სწავლება** ტფილისის საქალაქო სასწავლებელთა გამგე კომისიამ მიანდო სოლოლაკის სკოლაში ამავე ენის მასწავლებელს ნესტორ გიკალიშვილს.

◆ სოლოლაკის საქალაქო სკოლის მმართველმა ბ. ფირუმოვმა ქალაქის სასწავლებლების კომისიაში წინადადება შეიტანა, რომ ქალაქის პირველ-დაწყებით სკოლებისთვის გაიმართოს ხოლმე **საჰიგიენო საუბარი** სკოლების ექიმთა ხელმძღვანელობით.

◆ დღეს, 2 თებერვალს, **სახალხო სცენის მოყვარენი** სახალხო წარმოდგენების სადგომში წარმოადგენენ ა. ყაზბეგის სამ მოქმედებიან დრამას „არსენას“. წარმოდგენა საღამოს $7^1/_2$ საათზე დაიწყება.

◆ მეორე საკვირაო სკოლის გამგემ ჩაჩიბაიას ქალმა თხოვნით მიმართა ქალაქის სამოსწავლო კომისიას, რომ დახმარება აღმოუჩინონ სკოლას წელიწადში **ხამასი მანეთით.**

◆ 31 იანვარს სამხედრო სამედიცინო ინსპექტორის ბ. მალინინის თავმჯდომარეობით მოხდა კავკასიის შემნახველ-გამსესხებელ — სამედიცინო კასის წევრთა საზოგადო კრება. კრებაზე წაკითხულ იქმნა კასსის ანგარიში წარსულის წლის. საზოგადოდ განიხილეს კასსის არსებობის, 22 წლის, ანგარიში, რომლიდანაც აღმოჩნდა, რომ ამ ჟამად დამხმარებელი თანხა უდრის — 52,400 მანეთს, ხოლო შემნახველი — 34,286 მან. მთელი თავის არსებობის განმავლობაში კასას გაუცია გაჭირვებულ წევრებისა და მათის ოჯახობისათვის დასახმარებლად — 17,875 მან., გარდა ამისა სამი ათასზედ მეტი სესხი — სულ 580,245 მან. უმთავრესი თანხები (80o/o) ეკუთვნის ექიმებს. კასის წევრები არიან სულ 327, ამათგან 214 ექიმია.

◆ ქალაქის გამგეობა პირობით შეეკრა სახლის პატრონს კულუმბეგოვს, რომ ქირაობს მისგან სახლს **კუკიის პირველი** სკოლისთვის 1904 წლის სექტემბრამდის — 1,200 მან. წელიწადში.

◆ ქალაქის თავის მოადგილემ თხოვნით მიმართა ტფილისის გუბერნატორს, რომ, რადგანაც იმას ძალიან ბევრი საქმე აქვს, **განთავისუფლებულ იყოს** სხვა-და-სხვა კომისიებში დასწრებისაგან.

◆ ამას წინად უდროვოდ გარდაცვალებულის მასწავლებელ ქალის თამარ ქუჩუკაშვილის დედამ სთხოვა ტფილისის სასწავლებელთა გამგე-კომისიას შემწეობა აღმოუჩინოს მას. კომისიამ ეს თხოვნა განიხილა 31 იანვრის სხდომაზე და გარდასწყვიტა მიეცეს მასწავლებელ ქალის დედას ერთდროებით შემწეობად განსვენებულის ოთხის თვის ჯამაგირი, რაც შეადგენს სულ 160 მანეთს.

◆ რკინის გზის მოძრაობის ნაწილის უფროსი ინჟენერი აკორონკო, რომელიც გზის დასათვალიერებლად იყო წასული, ტფილისში დაბრუნდა.

◆ მე-7 საპოლიციო ნაწილის ბოქაულს, საქალაქო ექიმ ბ. პროზოროვსკისთან ერთად, ამ დღეებში დაუთვალიერებია ავლაბარში სადალაქოები, რომელნიც მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოჩენილან. ამის გამო პოლიციამ განკარგულება მოახდინა, რომ აღნიშნულ ნაწილის დალაქებმა მოკლე დროში გაასუფთავონ და მოაწყონ თავიანთი სადალაქოები, წინააღმდეგ შემთხვევაში სადალაქოები დაიკეტება.

◆ სადგურ ჭიათურიდან იტყობინებიან, რომ პირველ თებერვალს, ღამით, მესირე მაჭარაშვილი ვაგონებ შუა ჩავარდა; თვლებმა საბრალო შუაზე გადასჭრეს.

◆ 30 იანვარს, მე 6 საპოლიციო უბანში მცხოვრების იოსებ კოსტინინის სახლში შეპარულან ვიღაც ქურდები და წაუღიათ სხვა-და-სხვა ნივთები და მოუპარავთ 30 ქათამი. ქურდობაში ეჭვი მიუტანიათ ტაგი-ნაუმ-ოღლიზე და მის მუშა ბეჟან ეგოროვზე. გამოძიება სწარმოებს.

დაბა-სოფლები

ს. სამხთო (გურია). სული ამოგვართვა სოფლის გზების ნამეტანმა უვარგისობამ. ზამთარში მაინც ისეთი ტალახი დგება, რომ ბედაურსაც გაუჭირდება სიარული. კარგი იქნება სამხთოელებმა „პარტიობას“ თავი დაანებოთ და შეერთებულის ძალით უმთავრესი სასოფლო გზა მაინც შეაკეთოთ.

გასულ წელს საზოგადოთ გურიაში ცუდი მოსავალი იყო; წელს სამხთოელებსაც ნაკლები აქვთ პური და ღვინო.

ეს რამდენიმე წელია სამხთოელები გულიანად ეტანებიან სწავლა-განათლებას. მიუხედავად იმისა, რომ მახლობელ სოფელ მიქელ-გაბრიელში არსებობს ორ-კლასიანი სასწავლებელი, სადაც სამხთოელი ბავშვებიც დადიან, სამხთოელებმა საკუთარი სამრევლო სკოლა გაიჩინეს, სადაც მოსწავლეთა რიცხვი საკმაოდ ბევრია. კარგი იქნება ადგილობრივ სამრევლო სასწავლებელთან დაარსდეს პატარა წიგნთ-საცავ-სამკითხველო.

მასწავლებლი ბ. ნაკაიძის მეთაურობით სამხთოელებმა მოისურვეს დაეარსებინათ შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა. მათ კიდევაც მოუგვიდათ ფინანსთა სამინისტროსაგან დამტკიცებული წესდება, საქმის საწარმოებელი წიგნებიც გამოიწერეს და შეუდგენ პაის ფულების მოგროვებას. ვისურვოთ, რომ მომავალის ამხანაგობის საქმე კარგად წასულიყოს.

ნ. საკუპრელი.

რუსეთის ქრონიკა

∝ იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით არსებული კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს სისრულეში მოიყვანოს ციმბირში დაკარგვის რეფორმის საქმე, ამ ჟამად იხილავს საკითხს, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს ციმბირში უკვე გადასახლებულ დამნაშავეთა მდგომარეობა.

∝ უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო, რომ მოსკოვში დაარსდეს ქალთა უმაღლესი საკომერციო სასწავლებელი მოსამზადებელის კლასებით. მოსამზადებელში მიიღებიან 7-9 წლის ბავშები. სასწავლებლის კურსდამთავრებულ ქალებს მიენიჭებათ კორესპონდენტისა და ბუჰგალტერის ხარისხი. სასაწავლებელი არსდება იმიტომ, რომ მოსკოვის კომერსანტები მუდამ სჩივიან, მამაკაცნი უგულოდ და ცუდათ ასრულებენ ბუჰგალტერის თანამდებობასაო.

∝ „რუს. ლისტოკ“-ის კორესპონდენტის სიტყვით, დიდებულის მწერლის გოგოლის საფლავი მეტად სამწუხარო მდგომარეობაშია. ახლაც, საიუბილეო დღის წინ, ამ საფლავს არავინ ყურადღებას არ აქცევს; საფლავი დაფარულია თოვლითა და ნაგავით, მოსჩანს მხოლოდ გაცვეთილი ძველი ჯვარი, დაბლაჯნილი სხვა და სხვა გავრილოვებისა და დურანდინების გვარებით; ჯვარიც ცალმხარეზე დახრილია და აგერ-აგერ წაიქცევა.

ჩვენ გვეგონა, რომ მარტო ჩვენ არ ვიცით დიდებულ საფლავების პატივისცემა, თურმე რუსებიც ასევე უყურადღებოდ სტოვებენ თავიანთ მოღვაწეების საფლავებს!

თეატრი

ქართული წარმოდგენა

«სოდომის წარღვნა», ზუდერმანის დრამა. სვიმონიძის ბენეფისი.

გასულ ხუთშაბათის წარმოდგენა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა — ხალხიც ცოტა იყო და წარმოდგენაც სუსტი. ზუდერმანის პიესა მეტად შინაარსიანი და ხელოვნურად დაწერილი პიესაა და მისი წარმოდგენა ეგრე რიგად ადვილი არ არის. მაგრამ ჯერ პიესის შინაარსს მოვიყვანთ.

პატიოსან და მშრომელ ქმარსა (გედევანოვი) და ცოლს (გაბუნია) ჰყავთ ერთადერთი შვილი ვილლი (სვიმონიძე), რომელსაც ბავშვობიდანვე არა ჩვეულებრივი ნიჭი ეტყობოდა და შემდეგ ერთი შესანიშნავი სურათი „სოდომის წარღვნა“ — დაეხატა კიდეც. სახელმოხვეჭილი ახალგაზდა და ლამაზი ხელოვანი განცხრომის მიმდევარ საზოგადოებაში ჩავარდება; მას გაიტაცებს ეს ცხოვრება და ქალების ტრფიალება და ხელოვნებას, შრომას წრუპლებით თავს ანებებს. გარყვნილმა, უსაქმურმა ცხოვრებამ ისე ჩაითრია ახალგაზდა მხატვარი, რომ იმასაც კი ვერ ამჩნევს, ან არ თაკილობს, რომ მოხუც მშობლებისა და გულ-უბრყვილო მეგობრის კრამერის (გუნია) ხარჯზე უსვინდისოდ სცხოვრობს.

უდიდესი გავლენა ვილლიზე ადა ბარცინოვსკის (კარგარელი) აქვს. ეს მშვენიერი და მომხიბლველი სირენა მხოლოდ პირად სიამოვნების და სიტკბოების მოტრფიალე და ამ სიამოვნება-სიტკბოებისათვის არასფრის არ დამდევი, ისე იმორჩილებს ჩვარად ქცეულს ერთ დროს ამაყ ხელოვანს, რომ თავის ნებაზე ცოლი უნდა შერთოს და ისიც თანახმაა. მაგრამ როცა აღმოჩნდება, რომ ეს ამისი საცოლო, კიტტი (ტასო აბაშიძე) უბრალო ტიკინი არ არის, არამედ ხორც შესხმული გონიერი არსება, რომელსაც ვილი ძლიერად უყვარს, ვილი თითქმის აღტაცებაში მოდის და თავს იტყვილებს, რომ კიტტი მას ისევ სწორე გზაზე დააყენებს. ის კი აღარ ახსოვს, რომ ისევე იმედი ჰქონდა მას მის დობილის კლერხენისა (ლეჟავა). ვილის უხასიათობის და დაცემის საუკეთესო საბუთი ამ კლერხენთან დამოკიდებულებაა: ეს გულ-უბრყვილო, ნაზი და მოყვარულის გულის პატრონი ახალგაზრდა ქალი ვილის თვალ-წინ გაიზარდა და დაქალდა. ვილისავე სახლში სცხოვრობს მასწავლებელი კრამერი, კეთილშობილი, მაგრამ თან მეტად ფიცხის ბუნების პატრონი ადამიანი, რომელიც ლოცულობს ვილიზე და კლერხენზე. როცა ვილი თავზე ღებულობს მოელაპარაკოს კლერხენს კრამერის მაგიერ, ნერვებ და ხასიათ მოშლილი ვილი თავს ველარ იმაგრებს, თვითონ გაუარშიყდება კლერხენს და მშვიდობიანობას ურღვევს საბრალო ქალს. ეს კიდევ არაფერი, ერთ საღამოს იგი მთვრალი ბრუნდება სახლში და სრულებით ღუპავს თავის თავდადებულ მეგობრის საცოლეს, იმ მეგობრის, რომელიც სწორედ ამ დროს ემზადება ლექციისათვის, სადაც მან უნდა გააცნოს ქვეყანას ვილის „შესანიშნავი“ ნიჭი.

ამ სისაძაგლის ჩადენის მეორე დღეს ვილი სიყვარულს უცხადებს კიტტის და ეხლა ამის მიმზიდველობით და ღირსებებით თავბრუ დახვეული, ამას იტაცებს და თავის ატოლიეში მიჰყავს ჯვარის დაწერამდე. საბრალო კლერხენი თავს იკლავს და მოკლულის გვამი კრამერს ვილის ატოლიეში მიაქვს. გონს მოსული ვილი ყველაფერს უამბობს კრამერს. კრამერი გამხეცდება და ყელში წასწვდება ვილის. ვილი ისედაც გულით ავადმყოფია და კვდება იმ დროს, როცა კრამერი ექიმზე მირბის.

სხვა მომქმედი პირებიც არიან ამ პიესაში — ვეისი მწერალი (შათირიშვილი), რომელიც საუკუნოდ გამოსთხოვებია ახალგაზდურ გატატებას და ყველაფერს ურწმუნოდ და დაცინვით უყურებს, პროფესორი ნიმანი (გამყრელიძე) მშრომელი და პატიოსანი კაცი, რომელსაც არა გაეგება რა ადდას სალონის ცხოვრებისა, ექიმი დრობიში ჟაკ ბარცინოვსკი, თავის ცოლის ქმარი და სხვა.

ხუთშაბათის წარმოდგენის სისუტის უმთავრესი მიზეზი თვით მობენეფისე იყო! ბუნებრივად და კარგად მსახიობს მხოლოდ ერთი სცენა გამოუვიდა; ეს ის სცენაა, სადაც იგი კლერხენს გათხოვებაზე ელაპარაკება, უნდა კრამერს მაჭანკლობა გაუწიოს და ამ დროს თვით მას იტაცებს გულისთქმა და ქალს ეხვევა. სხვა სცენები მსახიობმა მეტად სუსტად ჩაატარა. სხვა ნაკლთან, სვიმონიძე

კახეთ-ქიზიყის მწიგნობრების 98°/o-ტი წლის-წლობამდის მარტოოდენ თავისი საკუთარ ჯიბე-კუჭის სარფისათვის ზრუნავს, შფოთავს, ღელავს, ბობოქრობს, გველობს, მელობს, მგელობს, კვნესის, ოხრავს, დრტვინავს და გმინავს ძილშიაც კი მოუსვენრად, და ერთს თვალ-გულ-წარმტაცად აშხიპშხიპებულ, მცვრიან მწვადსაც არ გასცვლის დაჩაგრულ მოძმე ხალხისათვის რაიმე საკეთილო ზრუნვაზე. ფილოსოფოსმა დეკარტმა სთქვა: cogito ergo sum: ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობო. და აქაურ, თავიანთ ჯიბე-კუჭის მწიგნობრებსაც ამით მოაქვთ თავი: ვჭამთ, ვსვამთ და გვძინავს, მაშასადამე ჩვენც ვარსებობთ და ვფიქრობთ: როგორ და რა ხერხით შავიძინოთ „ჩინები“ და დოვლათიო.

მოგეხსენებათ, რომ ქიზიყი შედარებით საქართველოს ყველა კუთხეზე წინ არის ნივთიერის შეძლებით, და სწავლა-განვითარებით კი ყველა კუთხეზე უკან ჩამორჩენილია სხვა-და-სხვა ისტორიულ გარემოებათა მიზეზების გამო. ქონებით გატენილ ანაფორიან „ნაბურსაკალებსაც“ კი (გარდა ირიოდესი), რომელთა პრტყელ-პრტყელი სიტყვებით სემინარიის კედლებიც კი ირყეოდა როდისღაც ძლევა-მოსილ ჰექა-გრგვინვისაგან აზანზარებულ ფანჯრის მინებივით, ისე ძლიერად ეჰყვარებიათ დღესგონების სიბნელე და უბადრუკობა, რომ არ იწერენ არც ერთს ჟურნალ-გაზეთს ცარიელი სახელისათვის მაინც, როგორც ზოგიერთი თავ-მომწონე.

ოდესმე ისეთი სახითა და ზარ-ზეიმით მოლაპარაკე, ხსენებულ „ნაბურსაკალებს“ და სხვა უთვალავ მათს მსგავსს მწიგნობრებს თუ ისე ძლიერად შეჰყვარებიათ გონების სიბნელე, რომ რამდენიმე მანეთიც ვერ გამოუმეტებიათ ჭკუა გონების მაფხიზლებელი ჟურნალ-გაზეთის გამოსაწერად, აბა რაღა სიკეთე უნდა მოელოდეს ყველა ამის შემდეგ ჩვენი სოფლები, ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა და ყოვლივე ჩვენი ეროვნული საკეთილო საქმეები?! ფუუუ ჩვენს ამ დროს მოსწრებას!.. o tempora, o mopes!

ევროპიელებს სულ-გულ-გონების მასაზრდოებელი, მსოფლიო გენიოსების წიგნებითა და საუკეთესო ჟურნალ-გაზეთებით სავსე აქვთ სახლები და ყოველ ცისმარე დღეს ახალ-ახალსაც უმატებენ, რადგანაც იმათმა ბალღმაც კი იცის, რომ სიბერემდის კაცს სწავლა არ მოსჭარბდებაო. კახელ-ქიზიყელთა ოჯახებში კი წიგნის ნაგლეჯის ფრატსაც იშვიათად შეჰხვდებით აქა-იქა, მაგრამ სამაგიეროდ ამისა ტვინის გამომლაყებელი, ჯანღონის დამზიანებელი და ქონების დამღუპავი ჯიხვები, ფსიტები, ყანწები, აზარფეშები, კულები, ფიალები, ჯამები, ჯამთასები, ბადიები, ქიქლაყურები, ჩაფურები, ჩარექები, მაყლურწეები, მომალხინეები, მახარეები, ჭკუა-მიბნელეები და რამპაპები (კრუშკები) ბლომად მოგვეპოვება კახელ-ქიზიყელებს.

ევროპიელებმა კარგად იციან, რომ თუ თავში არა შედის-რა, თავიდან არა გამოვარაო, კუჭი უჭმელ-უსმელობით მოკვდება და ჭკუა-გონება — ქვეყნის ავკარგის უვიცობითო, და ამიტომაც კუბოს კარამდე სწავლა-ცოდნის ძუძუს აწოვებენ თავიანთ ჭკუა-გონებას. და ჩვენ კი, ვაი სირცხვილო! საკეთილ-დღეო ცოდნა-განვითარების შეძენის ბადლად დედის მუცლიდან თან დაყოლილს ტვინსაც ზომას-გადასული ლოთობით [illegible], უკანასკნელ გროშსაც იმაში ვატიალებთ და უკან ჩამოვრჩებით ყველა განათლებულ ქვეყნის წინ-მსვლელობას, მაშ რა ეშმაკი და ქაჯი იქნება!..

დროა გონს მოვიდეთ, ბატონებო. დროა ამ მეოცე საუკუნის დამდეგში მაინც მოვიშალოთ ჩვენი სულიან-ხორციანად დამღუპავი ზნე-ჩვეულება და ჭკუა-მიბნელე ჯიხვებისა და კულა-აზარფეშების ნაცვლად ჭკუა-მინათლე ჟურნალ-გაზეთ-წიგნებით დავიმშვენოთ ოთახები ჩვენდა საბედნიეროდ და ასაყვავებლად სამშობლო ქვეყნის ლიტერატურისა, რომელსაც დიდი ხანია გადასცა თავისი გმირობა თოფმა და ხმალმა და უანდერძა: „დრონი მეფობენ“ და აბა ეხლა დრო შენია, მწერლობავ, შენ უნდა აღიჭურვო დემოსთენ-ციცერონის უკვდავი მჭევრ-მეტყველებით და შენ უნდა იხსნა და დაიფარო ჩვენი საყვარელი ქვეყანა აღურიცხველ ჭირვარამის უანგარიშო განსაცდელისაგანაო.

ქიზიყელი.

ხშირად ისე დაბლა ლაპარაკობდა, რომ არავის არაფერი არ ესმოდა.

კარგარელი სახით, ლაპარაკით და ლაპარაკის კილოთი დრამის ბოლომდე კარგი ადლა ბარცინოვსკი იყო, მაგრამ შთაბეჭდილებას მისი შეუფერებელი მანერები და ჩიხვრა-მოხვრა აფუჭებდა. ამიტომაც იყო, რომ, როცა მსახიობს ლაპარაკის დროს ნაკლები მოძრაობა და ხელის ხმარება სჭირდებოდა, უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე.

მაგრამ სრულის გამარჯვების გვირგვინი გუნიამ, ტასო აბაშიძემ და ლეჟავამ დაიმსახურეს, განსაკუთრებით ტასო აბაშიძემ და ლეჟავამ.

საბრალო კრამერი, ხან კრავივით ნაზი, მორჩილი და ხან გულის თქმით გაცეცხლებული და გამხეცებული, ცოცხალი გვედგა თვალ-წინ.

ლეჟავა მშვენიერი კლერხენი იყო; კლერხენი იგივე ფაუსტის გრეტხენია, სინაზისა და გულუბრყვილობის განხორციელება, ასე მიმზიდველი ყველასათვის, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც თავი მობეზრებული აქვს „სალონისებურ“ ფლირტითა და გარყნილებით. საუცხოვოდ მოუვიდა ლეჟავას სცენა ვილლისთან, როცა ეს უკანასკნელი მას გათხოვებაზე ელაპარაკებოდა—როგორის სიმარტივით, გულწრფელობითა და გულუბრყვილობით იყო წარმოთქმული თითოეული წინადადება, რა ბუნებრივი და ზომიერი იყო ის აღელვება და აღშფოთება, რომელიც იგრძნო კლერხენმა, როცა გულისთქმით გატაცებულმა ვილიმ მხურვალედ გადაჰკოცნა!

ტასო აბაშიძის კიტტი არსებითად იგივე კლერხენია, მხოლოდ მეტის მნახველი და გამომცდელი, და ამიტომ უფრო ყოჩაღი და გაბედული. თუმცა ესეც მახეს მოჰყვება ბოლოს. კიტტის ნამდვილ ბუნებას პირველ სცენაში ვერ გაიცნობთ: აქ იგი მხიარული და თავქარიანი ბავშვი მოგეჩვენებათ. ნამდვილი კიტტი თვალწინ უდგას მაყურებელს ორ სცენაში; პირველად მაშინ, როცა იგი დაინახავს, რომ მისი დეიდა ადლა და მისი სატრფიალო საგანი ვილლი გადახვეულები დაინახა და ვილლის წასვლის შემდეგ დეიდას თავის სურვილის წინააღმდეგ ნახევრად უმჟღავნებს თავის გულის საიდუმლოს: არც უნდა დეიდა შეურაცხყოს, თან გულს ვერ ერევა; მეორედ მაშინ, როცა იგი ხელს უკოცნის ვილლის (ცოლად გაყოლის თხოვნის პასუხად) და სულსა და გულს გადაუშლის მას. ორი სცენა საუცხოვოდ ჩაატარა ტასო აბაშიძემ.

შათირიშვილმა როლი არ იცოდა და ამიტომ პირველი სცენა, რომელიც უმთავრესია ვეისის როლში, გააფუჭა. კარგად გამოუვიდა მეორე სცენა, როცა იგი გულახდილად და თან დაცინვით ელაპარაკება ადლას კიტტისა და ვილლის ნიშნობის დღეს.

გაბუნიას შეუფერებელი როლი ჰქონდა და მიუხედავათ ამისა რამდენიმე მომენტი მშვენივრად გამოუვიდა, განსაკუთრებით ის, როცა იგი შეიტყობს, რომ ადლა მისი შვილის საყვარელია.

კარგი იყო გედევანოვი მოხუც, დაავადმყოფებულ ინიკოვის როლში.

გამყრელიძე სუსტი ნიმანი იყო.

მობენეფისეს ბევრი საჩუქარი მოუვიდა.

საჩხერის მხრის მკვიდრთა საყურადღებოდ

(წერილი საჩხერიდან)

როგორც მკითხველმა იცის, წელს შესრულდა 25 წელიწადი მას შემდეგ, რაც სამშობლო სცენის სახელოვანი მოღვაწე, ბ. ვასილ აბაშიძე, სცენაზე გამოვიდა. ქართულ გაზეთებმა ამბავი მოგვიტანეს, რომ ტფილისის ქართველი საზოგადოება კიდეც შესდგომია ამ იუბილეის სამზადისს. თუმცა ეს დღესასწაული დიდად საგულისხმოა მთელის ჩვენის ქვეყნისათვის, მაგრამ საჩხერის მხარის მკვიდრთათვის ეს დღე უფრო საყურადღებოა, რადგან ვასო აბაშიძე ამ მხარის შვილია და მისი პატივის-ცემა და დაფასება პირველად ჩვენი საქმეა. ამიტომ ჩვენ გვმართებს მონაწილეობა მივიღოთ საიუბილეო დღესასწაულში. ეს ჩვენი მონაწილეობა, ჩემის აზრით, უნდა იქმნეს შემდეგი: 1) ახლავე შევუდგეთ სამზადისს საიუბილეო წარმოდგენისას, რომელიც უნდა გამართოს საჩხერეში სწორედ იმ დღეს, როცა მისს იუბილეს აპირებს ტფილისის საზოგადოება; ბ) შევკრიბოთ თანხა და გავუგზავნოთ დრამატიულ საზოგადოებას, რომ ეს თანხა დაედვას საფუძვლად სცენის მოღვაწეთა დამხმარებელ კასსას, თუ ასეთი დამხმარებელი კასსის დაარსებას გადასწყვეტს საზოგადოება და გ) საიუბილეო დღისთვის ტფილისს გავგზავნოთ რამდენიმე წარმომადგენელი დღესასწაულზე დასასწრებლად და მისალოცავად.

რომ ყოველივე ეს ავასრულოთ, საჭიროა ახლავე თავდარიგს შეუდგეს საჩხერის მხარის შეგნებული პირები.

ს. ჯინჭველაშვილი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

31 იანვარი.

ვარშავა. ვისლის ხეობის რკინის გზის სადგურს პრაგაზე საიმპერატორო მატარებლით მობრძანდა ავსტრიის ერც-ჰერცოგი და 3 საათს 15 წუთზე ავსტრიის მატარებლით ვენაში გაემგზავრა.

ბელოსტოკი. ვილნის სამოსამართლო პალატის სესიამ დაამთავრა განხილვა კლეიმბორტის საქმისა. კლეიმბორტს ჰბრალდებოდა ცხენის ქურდთა ბრბოს დაარსება სოკოლსკის მაზრაში და ზემლიანიცინს და ბერნადსკის ამ დანაშაულობაში მონაწილეობის მიღება. პალატამ სამივეს განსაკუთრებითი უფლებანი და უპირატესობანი აჰყარა და პატიმართა რაზმში გაგზავნა მიუსაჯა: ზემლიანიცინს და კლეიმბორტს სამის წლით და ბერნადსკის წელი-ნახევრით.

ვარშავა. კოველში, ვისლის ხეობის გზაზე, ფოსტის მატარებელი, რომელიც ვარშავიდან მოდიოდა, დაეტაკა მეორე მატარებელს, რომელიც 40 ვაგონისაგან და ერთის ორთქლ-მავლისაგან შესდგებოდა, შესამჩნევად დაზიანა. ფოსტის მატარებლის ლოკომოტივი, ბარგის ორი ვაგონი, ფოსტის ერთი ვაგონი და ერთიც მე-3 კლასის ვაგონი რელსებს გადასცდნენ, 5 კაცი მოსამსახურეთაგანი დაშავდა, მგზავრებს არაფერი ვნება მოსვლიათ. გზის უფროსი ინჟინერი ივანოვი უბედურების ადგილისაკენ გაემგზავრა საგანგებო მატარებლით.

ბიისკი. ჰფიქრობენ, რომ კრიაგანკალაევსკში კარმანების 15 პირისაგან შემდგარი ოჯახის წევრთა ამოხოცვის საქმე სამხედრო სასამართლოს გადაეცემა გასარჩევად. მოკლული 14 კაცია, გადარჩენილა მხოლოდ ერთი ქალი. მკვლელები ექვსნი ყოფილან; ყველანი შეპყრობილნი არიან.

სარატოვი. სიფხიზლის საგუბერნიო კომიტეტს მიეცა ამ წელს 55,000 მან.; ამ ფულიდან განზრახვა აქვთ 20,000 მან. მოახმარონ სახალხო თეატრის აღდგენას.

ბიისკი. ტომსკის გუბერნატორი თავ. ვიაზემსკი მოვიდა. ბიისკის, ბარნაულის და კუზნეცკის მაზრებში მოსვლის მიზანი—ხალხის გამოკვების საქმის მოწყობაა.

ლოძი. კალიშის გზის სადგურ ზდუნსკაია ვოლიაში, მოვიდა პირველი სამუშაო მატარებელი. გზის გაყვანის საქმე სწრაფად მიდის წინ.

პეტროზავოდსკი. ოლონეცის მაზრაში შემოდგომაზე გაიხსნება პირველი დაბალი სატყეო სასწავლებელი გუბერნიისა.

როსტოვი-დონზე. საბჭოს დადგენილებას იმის შესახებ, რომ ხმოსნის თანამდებობა შეუძლებელია შეერთდეს ისეთს სასყიდლიანს თანამდებობასთან, რომელიც არჩევნებით არ ეძლევათ, დაინტერესებული ხმოსნები სენატში განასაჩივრებენ.

წესდება ქალაქის დაცვის საქმე.

ჟიტომირი. ქალაქის გამგეობას წინადადება შეაქვს საბჭოში, აუცილებლად საჭიროა შუამდგომლობა იქმნეს აღძრული კორტენიდამ გზის გასაყვანად ნება-რთვის ასაღებად.

ტვერი. გოგოლის სიკვდილის შემდეგ 50 წლის შესრულების გამო ქალაქის საბჭომ დაადგინა ერთ-ერთ საქალაქო სასწავლებელს გოგოლის სახელი უწოდოს, დასდგას იქ გოგოლის ბიუსტი, დაურიგდეს იმათ, ვინც საქალაქო სკოლებში კურსს ასრულებს, გოგოლის რჩეული თხზულებანი და დაარსდეს ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში სტიპენდია.

ტოკიო. მინისტრ-პრეზიდენტმა ინგლისთან შეთანხმების შესახებ სთქვა, ეს შეთანხმება მშვიდობიანობის განზრახვამ გამოიწვიაო. ეს სიტყვები მხურვალე ტაშის-ცემით მოისმინეს.

პეკინი. ინგლის-იაპონიის შეთანხმება შეატყობინეს უცხოეთის ზოგიერთს დიპლომატებს და აგრეთვე პრინც ცინს.

ლონდონი. გარეშე საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ ინგლისსა და იაპონიას შორის მოხდება შეთანხმება, რომელსაც 17 იანვარს ხელი მოაწერეს ლონდონში გარეშე საქმეთა მინისტრმა ლანსდოუნმა და იაპონიის ელჩმა ლონდონში გაიაშმა. შეთანხმებაში ნათქვამია: „ორივე მთავრობა, რომელნიც გამსჭვალულნი არიან სურვილით, რომ დაიცვან საზოგადო მშვიდობიანობა შორეულ აღმოსავლეთში, აგრეთვე დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა ჩინეთისა და კორეისა, შეთანხმდა შემდეგის მუხლებით: 1) ღონისძიებანი იქმნენ მიღებულნი მათი ინტერესების დასაცველად, უკეთუ რაიმე შიში მოელის რომელიმე უცხო სახელმწიფოთაგან ან თუ რამე უწესოება მოხდა ჩინეთში და კორეაში, რისთვისაც შეთანხმებულთა ერთ-ერთი მხარე უნდა ჩაერიოს საქმეში თავის ქვეშევრდომების დასაცველად; 2) თუ რომ მოკავშირეთა ერთ-ერთი მხარე ომს დაიწყებს რომელიმე სახელმწიფოსთან, მეორე მხარემ უნდა სასტიკად დაიცვას ნეიტრალიტეტი და მიიღოს ზომები, რომ სხვა სახელმწიფოები არ გაერიონ ომში მისი მოკავშირის წინააღმდეგ; 3) თუ რომელიმე სახელმწიფო ჩაერევა ომში ერთ-ერთის მოკავშირის წინააღმდეგ, მაშინ მეორე მოკავშირე უნდა მიეშველოს და ერთად განაგრძონ ომი; მორიგება ორივეს თანხმობით მოხდება; 4) მოკავშირენი თანხმდებიან, რომ ერთი უმეორეოთ იმათთაგანი უცხო სახელმწიფოსთან საქმეს არ დაიჭერენ, რათა არ ავნონ საზოგადო ინტერესებს; 5) თუ აღნიშნულ ინტერესებს რამე განსაცდელი მოელის, ორივე მთავრობამ ერთმანეთს დაწვრილებით უნდა აცნობონ და არაფერი არ დაუმალონ და 6) შეთანხმება ეხლავე ძალაში შედის და ხუთის წლის განმავლობაში აქვს ძალა; თუ რომ ერთს მოკავშირეთაგანს ომი ექნება იმ დროს, როდესაც ვადა გაუვა ხელ-შეკრულობას, მაშინ ხელ-შეკრულებას ძალა ექნება, ვიდრე მშვიდობიანობა არ ჩამოვარდება.“

ლონდონი. ლორდ ლანსდოუნმა იაპონიასთან შეთანხმებაზე შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ტოკიოში ბრიტანიის ელჩს: „ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა ხელშეკრულობის დადება იმ აზრით, რომ ამ ხელშეკრულობაში ისეთი დადგენილება არ არის, რომელიც პირად ინტერესებს მოასწავებდეს. ამ ხელშეკრულებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ინგლისი გაფრთხილებული იყოს იმ შემთხვევაში, თუ როდისმე მოუხდება ბრიტანიის ინტერესების დაცვა. ხელშეკრულობა სრულიად არ ემუქრება სხვა სახელმწიფოების ეხლანდელ მდგომარეობას ანუ მათს სამართლიან ინტერესებს; პირიქით, ხელშეკრულების ერთი ნაწილის თანახმად, მოკავშირე სახელმწიფოს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია დახმარება მოსთხოვოს მეორეს, თუ მოკავშირე სახელმწიფო იძულებული შეიქნება ომი დაიწყოს ორივე მოკავშირე სახელმწიფოების ინტერესების დასაცველად ან თუ მის წინააღმდეგ მტრულს კოალიციას შეადგენენ სხვა სახელმწიფოები“.

იოკაჰამა. მინისტრ—პრეზიდენტმა პარლამენტს წარუდგინა ინგლისთან დადებული ხელშეკრულობა, რომელსაც საგნად აქვს ჩინეთისა და კორეის დამოუკიდებლობის დაცვა და აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობიანობის უზრუნველ-ყოფა.

პეტროვსკი. (დაღესტნის ოლქში) გურიევოდან ყინულზე ზღვის ტალღამ მოიტაცა 14 მეთევზე, „კავკაზ და მერკური“-ს საზოგადოებამ გაგზავნა გემი ადამიანთა გადასარჩენად.

პეტერბურგი. 31 იანვარს ახალ რკინის გზების საქმეთა კომისიამ განიხილა ასტრახანის რკინის გზის საკითხი და გადასწყვიტა, ეს გზა ცარიცინზე იქნეს გაყვანილი.

1 თებერვალი

პეტერბურგი. საერო-განათლების სამინისტრო აცხადებს, რომ ამ წლის 20 ოქტომბრიდან 25-მდე (ახალი სტილით) ნიუ-იორკში ამერიკანისტების საყოველთაო კონგრესი მოხდება. დაწვრილებით ცნობების მიღება მსურველს შეუძლიან კონგრესის მდივნის M. H. Saville'-ისაგან (Musée americain d' histoire naturelle Neus Iorк. E. U.)

31 იანვარს გარდაიცვალა ევგენი ივანეს ძე დამანსკი.

კალიში. გუბერნატორის ინიციატორობით ადგილობრივი რუსის საზოგადოება გოგოლის სახსოვრად გარდიხდის პანაშვიდს და გამართავს ლიტერატურულ საღამოს.

როსტოვი დონზე დანიშნულია საქალაქო სკოლების მასწავლებელთა კრება გოგოლისა და ჟუკოვსკის სახსოვარ დღეებში დღესასწაულის მოწყობის შესახებ.

ასტრახანი. აქაურ ბირჟაზე იყიდეს [illegible] ფუთი მაზუტი, ფუთი ორ შაურად.

ზღვის ტალღით მოტაცებულ შკუნების გადასარჩენად გაიგზავნა გემები პეტროვსკიდან, ბაქოდან და კრასნოვოდსკიდან.

ბაქო. გუბერნატორმა მიიღო ოფიციალური დეპეშა, რომ 31 იანვარს ნაშუადღევის პირველ საათის ნახევარზე შემახაში საშინელი მიწის ძვრა იყო. ნახევარი ქალაქი დანგრეულია. არის ადამიანის მსხვერპლიც. იწვის ბაზარი. გუბერნატორი შემახაში გაემგზავრა.

ბაქო. დღეს პირველ საათზე აქ მიწა იძრა. ზოგიერთ სახლებში შუშები დაიმსხვრა. მიწის ძვრა 50 წამს გაგრძელდა.

პეტერბურგი. ბორისოგლებსკიდან, სარატოვიდან და ხარკოვიდან იტყობინებიან, რომ აქ სითბო დაიჭირა,

ბერლინი. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ გერმანიამაც მიიღო მონაწილეობა მოლაპარაკებაში ინგლისის და იაპონიის შორის ხელ-შეკრულობის დადების დროს; მან თავისი ინტერესები დაიცვა კერძო შეთანხმებით. ამის წინააღმდეგ გაზეთი „ბერლინერ ნეისტე ნახრიჰტენ“-ი ამბობს, რომ ეს ამბავი სრულიად სიმართლეს მოკლებულია. გერმანიამ ხელ-შეკრულობის ამბავი გაიგო იმის შემდეგ, როდესაც უკვე ხელი მოაწერეს.

ბაქო. 31 იანვარს მიწის ძვრისაგან თითქმის მთელი ქალაქი შემახა დაიღუპა. დაწვრილებითი ამბავი ჯერ არ არის. მიღებულია დეპეშა, რომ ასტარაშიც იყო მიწის ძვრა. საღამოს ხელ-მეორედ იყო ბაქოში მიწის ძვრა.

განჯა: 31 იანვარს აქ მოხდა მიწის ძვრა; ზოგიერთ სახლებში კედლები დასკდა; საათები დადგა; მცხოვრებნი გამოცვივდნენ ქუჩებში. 5 წამის შემდეგ მიწა კიდევ იძრა.

კიევი. რვა უბნის საარჩევანო კრებებზე აირჩიეს 58 ხმოსანი.

ირბიტი. დაიწყო ვაჭრობა. ვაჭრები ჯერ ცოტა მოვიდნენ.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი **ხლ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის)

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 6 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ პარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო —გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.) 3) სამგზავრო – გადის საღ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2) – შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევს 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე და ბაქომდე 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ, (9 ს. 56 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადებანი

ზის
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
გვრის მოედანზე, ყაფანთან
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი ნახშირი.
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.
ტელეფონი № 754. (წ.).

ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცელი“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ

Дозволено цензурою Тифлисъ, 1 Января 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.